EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

This project is funded by the EU

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) პრაქტიკული გამოყენება საქართველოში ნარჩენების მართვის სექტორში

ტრენინგი სემინარი: შეფასების მიდგომები და შემსუბუქების/რეაგირების ღონისძიებები

2015 წლის 21 სექტემბერი

თბილისი

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

GEO Georgia's Environmental Outlook

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

UNECE

UNEP

UNIDO

EaPGREEN
Partnership for Environment and Growth

This project is funded by the EU

შესწავლა (სკოპინგი) SEA-ში: გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების გამოვლენა, რომლებსაც უნდა შეეხოს შეფასება, მეთოდები და საშუალებები

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) საერთაშორისო კონსულტანტები SEA-ს საკითხებში:

ბ-ნი მიქალ მუსილი

დოქტორი მაია გაჩეჩილაძე - ბოჟესკუ

Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia

GEO Georgia's Environmental Outlook

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UNEP | UNIDO

ტიპიური SEA ეტაპები და ანალიზი

სკრინინგი	• საჭიროა SEA, თუ არა
სკოპინგი	• რაზე უნდა იყოს SEA ორიენტირებული
საბაზისო ანალიზი	• როგორია არსებული მდგომარეობა და სავარაუდო სამომავლო განვითარება გეგმის გარეშე
ზეგავლენის შეფასება	• რა არის გეგმასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ზეგავლენა
შემსუბუქების ღონისძიებები	• როგორ შეიძლება ზეგავლენის თავიდან აცილება, ან შემსუბუქება
SEA ანგარიში	• შედეგებისა და რეკომენდაციების შეჯამება

კონსულტაციები

SEA შედეგების ინტეგრირება

სკოპინგი

- სტრუქტურული მეთოდი მომზადების პროცესში მყოფი გეგმის ან პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების ან სხვა საკითხების გამოსავლენად

- სკოპინგის შედეგად გამოვლენილი უნდა იქნას გარემოსდაცვითი ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითები, რომლებიც შემდგომ დაფიქრებას და განხილვას საჭიროებს SEA-ს დროს და (შეძლებისდაგვარად) ასევე:
  - განსაზღვრავდეს შეფასების ტერიტორიულ მასშტაბებს
  - განსაზღვრავდეს იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ჩარულნი უნდა იქნან
  - წარმოადგენდეს სათანადო გარემოსდაცვით რეკომენდაციებს (ან კონკრეტულ შეკითხვებს, პოტენციურ ალტერნატივებს/ვარიანტებს, რომლებიც შემდგომ განხილვას საჭიროებს SEA-ში ან/და დაგეგმვისას), რაც SEA პროცესში ანალიზის საფუძვლად იქნება გამოყენებული.

- აღნიშნული აუცილებელია SEA პროცესის ეფექტურობისათვის, ვინაიდან უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ SEA ორიენტირებული იყოს მხოლოდ სავარაუდო მნიშვნელოვან ზეგავლენაზე კონკრეტული შემოთავაზებული გეგმიდან ან პროგრამიდან გამომდინარე.

სკოპინგის ძირითადი პრინციპები

- გეგმის ან პროექტის (ადგილი) მნიშვნელოვანი საბაზისო მონაცემების გამოყენება; და თავდაპირველი ანალიზისა და კონსულტაციების კომბინაცია გეგმით ან პროგრამით განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტების გასათვალისწინებლად
- ძირითადი საკითხების გამოვლენა თავდაპირველი ანალიზის სათანადო დონეების, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების), ლიტერატურის განხილვის და სხვა გზით
- SEA-ს გავრცელების სფერო არ შეზღუდოთ – იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დამატებითი, ან ახალი ინფორმაციის დამატება, რასაც შეიძლება შედეგად მოყვეს:
  - ახალი საკითხებისა და რისკების აღმოჩენა
  - უკვე გამოვლენილი საკითხის მნიშვნელობის გაზრდა, ან შემცირება

ილუსტრაცია: ჰაერისა და წყლის ხარისხის ერთიანი სტრატეგიული რისკები



სკოპინგის მიდგომა

- გარემოსდაცვით შესაბამის უწყებებთან კონსულტაციის გზით SEA ექსპერტებმა უნდა გამოავლინონ გარემოსა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები, რომლებიც საინტერესოა დაგეგმვის დოკუმენტისათვის და ყოველ ცალკეულ საკითხთან მიმართებაში განსაზღვრონ:
  - პრობლემის გეოგრაფიული არეალი
  - დაინტერესებული მხარეები, ვისთანაც კონსულტაცია აუცილებელია
  - მონაცემთა და ინფორმაციის წყაროები

- ამას გარდა
  - გამოვლენილი და აღწერილი უნდა იქნას შესაბამისი გარემოსდაცვითი მიზნები
  - შემუშავებული უნდა იქნას საკითხები / საორიენტაციო შეკითხვები შემდგომი ანალიზისათვის

EaPGREEN Partnership for Environment and Growth
This project is funded by the EU
OECD UNECE UNEP UNIDO

სკოპინგის საშუალებები და მეთოდები

- ანალიზის ან რანჟირების მატრიცების სხვადასხვა ვარიაციები, მაგ., ზეგავლენის სწრაფი შეფასების მატრიცა
  - როგორც წესი, გამოიყენება სკოპინგის ექსპერტული და Delphi მიდგომებისათვის და ეფექტურია
    - სკოპინგის ანალიზის ორგანიზებისათვის,
    - და საკითხების პრიორიტეტულობის დასადგენად.
- რუკები და GIS რუკების გადაფარვა
  - როგორც წესი, გამოიყენება სკოპინგის ექსპერტული და Delphi მიდგომებისათვის და ეფექტურია
    - დიდი რაოდენობის სივრცითი ინფორმაციის სწრაფად განხილვისათვის
    - შესაძლო პრობლემური სფეროების სწრაფად გამოსავლენად
- SWOT
  - ყველაზე ხშირად გამოიყენება პოლიტიკის შესასწავლად (სკოპინგისათვის)
- სხვა:
  - გადაწყვეტილების ხეები / ქსელები
  - გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტემა

რას ნიშნავს კარგი SEA სკოპინგი?

- უნდა იძლეოდეს შემდგომი შეფასების საშუალებას, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს მხოლოდ მდგრადობასთან დაკავშირებულ იმ ძირითად საკითხებზე, რომლებზეც გეგმამ ან პროგრამამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს

- უნდა ეხმარებოდეს გადაწყვეტილების მიღებას გეგმის ან პროექტის მდგრადობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების შემდგომი ანალიზისათვის სათანადო მეთოდებისა და ანალიტიკური საშუალებების გამოყენებისათვის

- უნდა უზრუნველყოფდეს, რომ შემდგომ SEA პროცესში ასახული იქნება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები (ანუ, შესაბამისად, კონსულტაციები სკოპინგის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს)

- სკოპინგთან დაკავშირებული შეზღუდვები:
  - როგორც წესი, ეფუძნება შეზღუდულ მონაცემებს / ზოგად ანალიზს
  - არ უნდა იყოს (და არც არის აუცილებელი, რომ იყოს) დეტალური
  - შედეგები გადამოწმებული უნდა იქნას შემდგომი ანალიზით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გეგმის ან პროექტის შემსუბუქების ღონისძიებები უფრო დეტალურ ინფორმაციას საჭიროებს.

შეკითხვები? კომენტარები?

გმადლობთ ყურადღებისათვის!